გამოხმაურება ახალ სახელმძღვანელოზე

(ავტორები: ეკონომიკის დოქტორი, თსუ მოწვეული პროფესორი გიორგი შიხაშვილი და კახაბერ რუსიძე. **„საკუთარი თავის შეცნობა, თვითმართვა და სოციალურ-ეკონომიკური სინერგიზმი“**. თბილისი, „მერიდიანი“, 2024. – 284 გვ.)



ნაშრომში ასახული და გადმოცემულია მართლმადიდებლური მოძღვრება საკუთარი თავის შეცნობის, თვითმართვისა და სოციალურ-ეკონომიკური სინერგიზმის შესახებ.

მთელი კაცობრიობის, ცალკეული ერების და ქვეყნების პიროვნულ-ადამიანური და საზოგადოებრივი ცხოვრების, მათი ისტორიის – წარსულის, აწმყოსა და მომავლის თეოლოგიური გააზრებისათვის საჭიროა ღვთაებრივი და ადამიანური ძალების თანაქმედების სინერგიული აღქმა.

ქრისტიანობის არსს შეადგენს ქრისტეს ჯვარი და მისი აღდგომა, რომლის მეშვეობითაც კაცობრიობას, ბოლოს და ბოლოს, მიეცა საშუალება ახლად შობისა, განახლებისა, ღვთის იმ დაცემული ხატების აღდგენისა, რომელსაც ჩვენ ვატარებთ. ქრისტიანობის არსს შეადგენს, არის ადამიანის სულიერი ცხოვრების სწორი წარმართვა.

ადამიანი ღმერთისაგან ნეტარებისთვის არის შექმნილი და მისკენ ლტოლვა ჩვენს არსებაშია შთანერგილი. ჩვენი უმთავრესი მიზანი, ამოცანა და მოვალეობა საკუთარი თავის შეცნობა, ცხონების გზაზე დადგომა-სიარული, სათანადო თვითმართვა, ზეციური, ღმერთის სასუფევლის მიღწევა, განღმრთობა და მარადიულ ნეტარებაში დამკვიდრებაა.

სინერგია არის ადამიანური და ღვთაებრივი ძალის შერწყმა და ღვთის მოწყალების კარის განღება. საზოგადოებრივი და პიროვნული წინსვლა-განვითარებისთვის აუცილებელია ორი ძალის – ღვთაებრივისა და ადამიანურის გაერთიანება – სინერგია. მეცნიერებაც და რელიგიაც ორი საშუალებაა ობიექტური რეალობის შესაცნობად და ისინი ხელს უნდა უწყობდნენ ჭეშმარიტების გზით კაცობრიობის განვითარებას.

კაცობრიობის ისტორიის თეოლოგიური გააზრებისათვის საჭიროა ღვთაებრივი და ადამიანური ძალების თანაქმედების სინერგიული აღქმა.

საქართველოს კულტურული, ინტელექტუალური, საგანმანათლებლო, სამეცნიერო, მატერიალური, სოციალურ-ეკონომიკური და ეკოლოგიური პოტენციალის აღორძინება-განვითარება სულიერი ამაღლებით უნდა დაიწყოს.

საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის უმნიშვნელოვანესი სულიერი ზესვლაა. რელიგიასთან ერთად, საზოგადოებრივ ცხოვრებას განეკუთვნება სოციალურ-ეკონომიკური და მმართველობითი საქმიანობა. მხოლოდ ღვთაებრივ, ეკლესიურ საწყისებთან მისი სინერგიული შეთანაწყობის საფუძველზე არის შესაძლებელი ჭეშმარიტი სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის მიღწევა, როგორც ეროვნულ, ასევე გლობალურ დონეზე.

ნაშრომის ძირითადი ტექსტი შედგენილია საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის 1978-2024 წლების ყველა ეპისტოლედან თემატურად გამოკრებილ უმთავრეს სინერგიულ სწავლებათა ციტირებისა და პერიფრაზირების მეთოდების მეშვეობით; კონკრეტულ აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით გადმოცემულია ავტორთა მსჯელობა და მოსაზრებები. წიგნში, აგრეთვე ასახულია უშუალოდ ავტორთა ნაშრომები საკვლევ სფეროში.

ეკლესიის უმთავრეს იარაღს რწმენისმიერი სიტყვა და ღვთივსათნო საქმე წარმოადგენს. ჩვენი პატრიარქიც ლოცვით, ეპისტოლეებით, ქადაგებით, შეგონებებით, ლოცვა-კურთხევებით და დაუცხრომელი, თავდადებული პირადი მოღვაწეობით აღასრულებს მისთვის ღვთივბოძებულ მისიას.

მთლიანობაში, წიგნის შინაარსის საფუძველზე, დაბეჯითებით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ღმერთის, სამშობლოს და ადამიანის სიყვარულით აღსავსე, თავისი საღვთისმეტყველო-სამოძღვრო შემოქმედებითა და დაუცხრომელი, თავდადებული მოღვაწეობით, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II წარმოგვიდგება, როგორც სულიერი მოძღვარი და წინამძღოლი.

თავისი სინერგიული სასწავლო-სამეცნიერო დანიშნულებიდან და უფართოესი შესაცნობი არეალიდან გამომდინარე, ნაშრომი, განკუთვნილია სასულიერო პირების, საეკლესიო კეთილმოწესეებისა და ეკონომოსების, მრევლის, თეოლოგების, სხვადასხვა დარგის მეცნიერთა, ფილოსოფოსთა, სოციოლოგების, ეკონომისტების, ეკოლოგების, ჰუმანიტარების, ინტერდისციპლინარების, საერო და სასულიერო უმაღლესი განათლების სფეროს მუშაკების, პროფესორების, ლექტორების, სტუდენტების, ზოგადსაგანმანათლებლო საერო სკოლების და სასულიერო სკოლა-გიმნაზიების მასწავლებელთა და მოსწავლეთა, სასწავლო--სატრენინგო სფეროს ლექტორების და მსმენელების, არასამთავრობო ორგანიზაციების, ბიზნესმენების, მენეჯერების, სახელისუფლებო ორგანიზაციების ყველა დონის მმართველთა და ყველა დაინტერესებული ადამიანისთვის, მიუხედავად მათი ასაკის, პროფესიის, შრომითი საქმიანობისა და სოციალური მდგომარეობისა.

სახელმძღვანელოს გამოყენება შესაძლებელია ყველა დონის სასწავლებლებში, სასწავლო-სატრენინგო და სხვა ორგანიზაციებში, სადაც დაინერგება სასწავლო და/ან სატრენინგო კურსი – „საკუთარი თავის შეცნობა, თვითმარ-

თვა და სოციალურ-ეკონომიკური სინერგიზმი“.

ნიკო ჩიხლაძე - ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, თეოლოგიის დოქტორი, პროფესორი. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ქუთაისის უნივერსიტეტი.

აკაკი ბაკურაძე - ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი.